ასეთი თოფეთის ბრისელი ეთნი

64 207
206

№ 287 (Опись) 1 206

287 1 № 206

Государственное хранилище
ДОКУМЕНТОВ ЗАПАДА
16 01 2025

13.

„ახალი კოლხეთი“, 1972, ნაკრები, № 42

გაზეთ „ახალი კოლხეთის“
50 წლისთავის წინ

თქვენ პოეტები საქართველოსი...

ოეტებსა და მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრებს უწოდებენ. ეს ჭეშმარიტად ასეა. მათი ყველა ნაწარმოები სულიერი საზრდოა ფართო მკითხველისათვის. ამიტომაც ყოველი დიდი ტალანტის დაბადება ხატოვნად მზის ამობრწყინების სადარია, ხოლო ყოველი ახალი ლექსის თუ პროზული ქმნილების დაწერა საბუდარიდან მართვის აფრენას მოჰგავს.

რამდენად ბედნიერია შემოქმედი, როცა მისი პოეტად ან მწერლად კურთხევა რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან ორგანულ კავშირშია და იგი ბოლომდე ამ მოვლენით გულდამტკბარ და კეთილ მასპინძელს გვაგონებს. ასეთად იშვა ჩვენთვის, ფოთელებისათვის ალიო მირცხულავა, რომელმაც ორმოცდაათწლიანი დიდი პოეტური მოღვაწეობის მიჯნაზე, ყველასათვის მოულოდნელად, ლექსის ღუღუნში მიიძინა. ესეც სიმბოლური ბედნიერებაა შემოქმედისათვის, რომლებსაც სიკვდილის შემდეგაც არ უწერია გადაშენება. მას ხომ იმდენი საგზალი აქვს დანატოვარი, რომ თაობებს უნდა ეყოთ საზრდოდ.

რა ბედნიერად ჩათვლიდა თავს ხალხის სიყვარულით მირონცხებული ალიო, რომ თავისი პოეტური ნათლობის სავანეს—გაზეთ „ახალი კოლხეთის“ ამ იუბილეს დასწრებოდა, თავისი გულისნადები კიდევ ერთხელ საჯაროდ ეთქვა და ახალი ლექსით გაეხარებინა ფოთის საზოგადოება.

მაგრამ რაც მან გაკეთა, რაც შექმნა და ხალხს გულის დიდ საუნჯედ დაუტოვა, მას მარად უკვდავყოფს, კეთილად მოგონებისა და პატივდების ღირსად ხდის. ამიტომ ამ საზეიმო დღეს დიდი მადლიერებით ვიგონებთ ალიოს, რომელმაც სიჟაბუკეში ფოთში ყოფნისას პირველი ლექსების მეგზურობა ადგილობრივ „მუშის ხმას“ მიანდო და აქედან შეეხმიანა საქართველოს პოეტების მადლიან ჩანგთა ყღერას.

ალიო მუდამ სიამაყით აცხადებდა, რომ ფოთია მისი ყრმობისა და ლექსების ბუდე. „ჩემი სიყრმისა და სიხარულის წლები ფოთში გამიტარებია. — წერდა იგი გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩვენთან სტუმრობისას. — აქ დავამთავრე გიმნაზია, აქვე დავიწყე პოეტობა და ჩემმა პირველმა ლექსმა აქაური გაზეთის ფურცლებიდან აისხა ფრთები, 1921 წ.“

პოეტს ეს გულწრფელი აღსარებაც არ ეყო და მან ადრინდელი ლექსის სტრიქონებს ახალი სტროფები შემატა ფოთისადმი, მისი მახლობელი გაზეთისადმი მადლიერების ნიშნად. აი ერთი სტროფი:

„მოვალ, ფოთლების მართობს
ალერსი,
ჩემს ნაკვალევში წვიმის ჭავლია,
აქ მწვავდა ფიქრი უმხურვალესი,
და ლექსის წერაც აქ მისწავლია“.

ალიოს პოეტური ნათლობა ფოთის გაზეთისთვისაც სასიკეთო გამოდგა. ამით პირველი ხნული გაივლო გაზეთში ლიტერატურული ცხოვრების შესაფერისად ასახვისათვის, ქართველ პოეტებთან და მწერლებთან კავშირის, საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად. ამ მხრივ ყველაზე დიდი ამაგი დასდო ფოთელებს და მკთ გაზეთს ჩვენმა თანამემამულე სასიქადულო მწერალმა როდიონ ქორქიამ. იგი ადრიდანვე იყო ამ გაზეთის მასაზრდოებელი საინტერესო მოთხრობებით, ნარკვევებით, პუბლიცისტური სტატიებით და ასეთად გამოიყურება დღესაც.

მან — როდიონმა დაახლოვა ფოთის გაზეთთან ცნობილი ქართველი პოეტები და მწერლები ს. ჩიქოვანი, პ. იაშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ბ. ყღენტი და სხვები. იგი ედგა სათავეში 30-იან წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილ ლიტერატურულ კაბინეტს, რომლის რეკომენდაციით ადგილობრივ გაზეთში იბეჭდებოდა ფოთელი ავტორების ლექსები და მოთხრობები.

საგულისხმოა ის, რომ 1934 წელს როდიონის უშუალო მონაწილეობით მომზადდა „ფოთის მუშის“ სპეციალური ნომერი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობას. გაზეთის ხუთი ეგზემპლარი დაიბეჭდა აბრეშუმის ქსოვილზე და გაეგზავნა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, მაქსიმ გორკის, ანრი ბარბიუსს, შალვა დადიანს და პარტიის საქალაქო კომიტეტს.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ ეწვია ჩვენს ქალაქს პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, რომელმაც აქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე შექმნა შესანიშნავი ლექსი ფოთზე. მოვიყვანოთ ერთი ადგილი ამ ლექსიდან:

„ნარიონალში ჩამდგარი წყალი
ჰაერს არ შხამავს აქ ძველებურად,
განათდა ზეცა სხივით ცინცხალით,
ერთდროს კოლხიდას თავს რომ
ებურა“.

სოსომ სხვა მხრივაც ამაგი დასდო გაზეთსა და ფოთელებს. მისი რედაქტორობით 1948 წელს გამოიცა ადგილობრივი ავტორების ნაწარმოებთა კრებული „ლიტერატურული კოლხიდა“.

მოგვიანებით სახალხო მგოსნის გ. ლეონიძის მასპინძელი გახდა ფოთი და ადგილობრივი გაზეთი. აქვე დაწერა მან შესანიშნავი ლექსი „ლამაზო, ფოთის ქალაქო“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „მგზნებარე კოლხიდელის“ 1950 წლის 26 სექტემბრის ნომერში. ლექსის ბოლო სტროფი ასე ომახიანად ყღერს:

„ვაშა შენს ვაჟებს, შენს გმირებს,
შრომის გმირების ბანაკო!...
მადლობა, კიდევ მადლობა
ლამაზო, ფოთის ქალაქო!“

ადგილობრივ გაზეთთან მუდამ ახლოს იყო და არის, ჭაბუკობისას გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წამყვანი წევრი, ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია. მისი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, კრიტიკული სტატიები და რეცენზიები ამშვენებდა გაზეთის ნომრებს.

სხვადასხვა წლებში ბევრი მოთხრობა, ნოველა და ლექსი აქვთ გამოქვეყნებული მწერალ ანდრო ლომიძეს, პოეტებს კალე ბობოხიძეს, ანდრო თევზაძეს, ამირან აბშილავას, ალიო თოფურიას, დიმიტრი გიგიბერიას, მწერალ პოლიო აბრამიას, პროფესორ ვლადიმერ ზამბახიძეს და სხვებს.

გასული წლის ბოლოსათვის ფოთში ჩამოვიდა პოეტი ხუტა ბერულავა, რომელმაც გაზეთ „ახალი კოლხეთის“ საახალწლო ნომერში გამოაქვეყნა ლექსი „ფოთელ მეგობრებს“.

გაზეთის დაარსებიდან შრომითს პენსიაზე გასვლამდე ფოთში ჩამოსული პოეტებისა და მწერლების უმრავლეს ნაწარმოებთა პოლიგრაფიულად მომზადება-გამოქვეყნებაში დიდი ამაგი მიუძღვის სამსონ ჩიჩუას. მას პირადი ნაცნობობა ჰქონდა ბევრ მათგანთან.

ყოველივე ეს ძვირფასი ფონდია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდი შრომის ფასად იქმნებოდა ადგილობრივი გაზეთის ლიტერატურული პროფილი და რა ხელშეწყობას უქმნიდა იგი ნიჭიერ ადგილობრივ ავტორებს. ამ საზეიმო დღეს გულითადი მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველას, ვინც ამ რთულ უბანზე გაზეთს მხარში ედგა და დღესაც პირმშოსათვის ზრუნვას არ აკლებს. ესენი კი თქვენა ხართ — საქართველოს პოეტები, მწერლები და ლიტერატურათმცოდნეები!

კარლო კომახიძე.

ი—მომხმარებელს

50 პროცენტ ნახშირწყლებს, 10 პროცენტ ცილებს, 10-12 პროცენტ ცხიმს. რეკომენდირებულია გაძლიერებული კვებისათვის და ხასიათდება მაღალი კვებითი თვისებებით.

მომხმარებელთა დიეტური ნაწარმით უკეთ მომსახურეობის მიზნით სპეციალიზებულ პურბულკეულით და საკონდიტრო ნაწარმით მოვაჭრე მაღაზიებში საჭიროა გამოიყოს სპეციალური კუთხე დიეტური ნაწარმის დასაწყობად, რომელსაც უნდა ქონდეს წარწერა „დიეტური ნაწარმისათვის“, მაღაზიის გამგეებმა ყოველდღიური განაცხადი უნდა მისცენ საცხობს მომდევნო დღისათვის დიეტური ნაწარმის რაოდენობაზე.

ს. მიქიაშვილი,

ფოთის პურკომბინატის მთავარი ინჟინერი.

ჩვენ გვწერენ

რადიო სდუმს!

რკინიგზის ტერიტორიაზე ორ თვეზე მეტია რადიო სდუმს. ამის შესახებ რამდენჯერმე მივმართეთ კავშირგაბმულობის კვანძის რადიო მეურნეობის ხელმძღვანელობას, მაგრამ დაპირების გარდა ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ დაძრულა. რადიოს ხმა არ ისმის კლუბში, საპარიკმახეროში, №№ 24, 25, 26, 27 და სხვა საერთო საცხოვრებლებში.

რკინიგზელებს დიდად აინტერესებთ რადიოგადაცემების მოსმენა, განსაკუთრებით ადგილობრივი გადაცემებისა, ამიტომ ჩვენს მოთხოვნას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ლ. სალაყაია, ე. ღვანია, ნ. ჯახუა, შ. გაგუნია,

„ახალი კოლხეთის“ საგუშაგოს წევრები.

სურათზე: № 2 პოლიკლინიკის სტომატოლოგიური კაბინეტის სტომატოლოგი სვეტლანა სტრეკოლი მკურნალობს პაციენტს.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

ტელევიზია

ხუთშაბათი, 6 აპრილი

17.00 გადაცემათა პროგრამა. 17.05 აბიტურიენტთა დასახმარებლად: ლექცია ქიმიაში. 17.50 საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „ყურადღება, კუ!“, 19.20 ციკლიდან „სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში“. „კომკავშირი და წარმოება“. 19.40 კინონარკვევი. 20.00 „მეცნიერება და ტექნიკა“. 20.35 „სსრკ-50“ [illegible] 21.55 პროგრამა მეორე დღისათვის. 22.00 „ვრემია“ (მ). 22.30 ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ (მეშვიდე სერია). 23.35 „საცეკვაო დარბაზი“ (მ).

ჩემპიონატის სპარტი

● **გუშინწინ** დიდი ფეხბურთის დღე იყო — სტარტი მიეცა 34-ე საკავშირო ჩემპიონატს. შედგა შვიდი მატჩი, რომელთა ანგარიშები ასეთია: თბილისის „დინამო“ — —მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 0:0, ვოროშილოვგრადის „ზარია“ — კიევის „დინამო“ — 3:0, ალმა-ატის „კაირატი“ — მოსკოვის „ტორპედო“ — 1:1, ბაქოს „ნეფტჩი“ — მინსკის „დინამო“ — 1:0, ლვოვის „კარპატი“ — ლენინგრადის „ზენიტი“ — 0:1, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — ცსკა — 2:1, როსტოვის სკა — მოსკოვის „სპარტაკი“ — 0:1.

მე-2 ტური შედგება 8-10 აპრილს, 8-ში ითამაშებენ: „არარატი“ — „ლოკომოტივი“, „ზარია“ — „სპარტაკი“, „კაირატი“ — მინსკის „დინამო“, „ნეფტჩი“ — „ტორპედო“, „კარპატი“ — ცსკა, სკა — კიევის „დინამო“, „დნეპრი“ — „ზენიტი“; 10-ში — თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“.

უცნობი ავადმყოფობა

ბრაზილიის მახლობლად არის კუნძული ვალია-მე დეუსი. მისი 60 მცხოვრებიდან 20 დაავადებულია საშინელი უცნობი სნეულებით: საკმარისია ადამიანებმა რამდენიმე წუთი გაატარონ მზეზე, რომ მძიმე დამწვრობა მიიღონ. 15 წლის მოზარდებს, რომლებიც ამ სენით არიან შეპყრობილი, ხანშესული ადამიანის შესახედაობა აქვთ: მათ კანი უჭკნებათ, მხედველობა უსუსტდებათ, მოძრაობა უჭირთ. ამ სენით დაავადებული მამაკაცები მხოლოდ 30 წლამდე ცოცხლობენ, ხოლო ქალები — 25 წლამდე.

ამჟამად კუნძულზე მუშაობს სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც პროფესორი ნიუტონი, ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი მეთაურობს.

დღეს კინოებში

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრ „რუსთაველში“ ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი „თქმულება როსტომზე“. (პირველი და მეორე სერია ერთად). კინოთეატრ „კომკავშირელში“—„ღამე მე-14 პარალელზე“.

სეანსების დასაწყისი „რუსთაველში“ 3, 6 და 9; „კომკავშირელში“ — 7 და 9 საათზე.

რედაქტორი აპ. ტიკარაძე

ბ. ვაშაკიძე, თ. კოღუაშვილი, მ. გრიგოლია, ვ. ღვანია, ქ. მირცხულავა, ნ. ცხადაია, ლ. ჩაჩავა, ს. ka-
ოლღა, ნადია, ჩუტა, ბესარიონი, ალიოშა და მიშა მოწერელიები,
[illegible]